ოქმი:**ო63. 6324142001**
თარიღი:**21/05/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N6

ქ.სამტრედია 1 მაისი, 2024 წელი.

მიმდინარე წლის 1 მაისს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი მელაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: ირაკლი მელაშვილი, გოჩა არველაძე, აკაკი მინაშვილი, გიორგი ლეჟავა, გრიგოლ ჩიგოგიძე, ლელა ჩორგოლაშვილი, მარიამ ბარბაქაძე, ნუგზარ ჯამბურია, ტარიელ დვალიშვილი, ჯონი თევზაძე.

მოწვეული სტუმრები:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი - ნატალია მანჯგალაძე .

დღის წესრიგი:

1. მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების სასკოლო სპორტის განვითარებისკენ მიმართული პროგრამების შესახებ.

/მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

2. სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (10) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, კომისიის წევრთა (10) ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> განათლების, კულტურის,

სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი, მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების სასკოლო სპორტის განვითარებისკენ მიმართული პროგრამების შესახებ.

ირაკლი მელაშვილი - გაცნობებთ, რომ საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია და ა(ა)იპ „სპორტის მართვის მეთოდოლოგიის და ტექნოლოგიების ასოციაცია, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის და მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების შესაბამისი სამსახურების მხარდაჭერით ახორციელებს სასკოლო სპორტის განვითარებისკენ მიმართულ პროგრამებს.

ეს პროგრამებია: მხიარული სტარტები (III-VII კლასი); საქართველოს სასკოლო ლიგა (VI-VIII კლასი); სასკოლო სპორტული ოლიმპიადა (IX-XI კლასი), სასკოლო სპორტული ლიგის ფარგლებში, მინი-ფეხბურთში იმერეთის სასკოლო ჩემპიონატი. ამ პროგრამებში, ყოველწლიურად ჩართულია 107 000 მოსწავლეზე მეტი.

2024 წლის აპრილი-მაისი იწყება მეორე უმნიშვნელოვანესი პროექტი - „თავისუფლების თამაშები“ და სასკოლო სპორტული ლიგის ფარგლებში, მინი-ფეხბურთში იმერეთის სასკოლო პირველობა, რომელიც მასობრივი სპორტის მიმართულებით ყველაზე მასშტაბური პროგრამები იქნება ჩვენს რეგიონში, ახალგაზრდული პროექტების მიზანია მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა და სკოლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და მისი პოპულარიზაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა სამსახურმა უზრუნველყოს საჯარო სკოლების მიხედვით მოსწავლე ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა, სპორტის სახეობების მიხედვით გუნდების შერჩევა, დაკომპლექტება, მათი ტრანსპორტირება და ერთჯერადი კვება. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება და ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვა.

ზემოაღნიშნულ საკითხთა დაკავშირებით ისაუბრებს ქალბატონი ნატალია.

ნატალია მანჯგალაძე - მუნიციპალიტეტი იღებს ყველანაირ პასუხისმგებლობას ამ საკითხთან დაკავშირებით.რა თქმა უნდა გვეხმარება რესურსცენტრი, პროცესებში ჩართულია სპორტ-სკოლა.

სასკოლო სპორტის განვითარებასთან დაკავშირებით მინდა დავაფიქსირო ჩემი აზრი, რომ სპორტის ინსტრუქტორი უნდა იყოს რესურსცენტრში, რათა უხელმძღვანელოს სასკოლო სპორტს. მუნიციპალიტეტი შეიძლება ჩაერთოს დაჯილდოვების ან წახალისების მხრივ.

სასკოლო ოლიმპიადა ტარდება სექტემბერ-ოქტომბერში - მინიფეხბურთში, კალათბურთში,ხელბურთში, ფრენბურთში, მხიარულ სტარტებში, მაგიდის ჩოგბურთში და ა.შ. მსურველების მიხედვით ატარებს მუნიციაპლიტეტი შიდა ტურნირებს. პირველ ადგილზე გასული გუნდები მონაწილეობას ღებულობენ რეგიონალურ თამაშებში,რომელიც ტარდება აპრილში. უკვე ჩატარდა და მინდა მოგახსენოთ, რომ სამტრედია სპორტის 2 სახეობაში პირველ ადგილზე გავიდა და ისინი ითამაშებენ ბათუმში, ზონალურ შეჯიბრში.

წელს გვთავაზობენ სასკოლო ლიგას. იმერეთში არის სატესტო და მხოლოდ მინიფეხბურთში იღებს მონაწილეობას ჩვენი მუნიციპალიტეტი და ამისთვის საჭიროა ნაწილობრივი გადასახადი. ერთ შეჯიბრში უნდა გადავიხადოთ 1250

ლარი. თანხაში შედის ფორმები, თასები, მედლები, სიგელები. შეჯიბრის გახსნა ტარდება ქუთაისში, ზედა ზონის თამაშები საჩხერეში და ქვედა ზონა სამტრედიაში.

მომავალ წელს შეიძლება დაემატოს კალათბურთი, ფრენბურთი.

ნუგზარ ჯამბურია - შესანიშნავად ჩამოაყალიბა ქალბატონმა ნატალიამ, მივიღეთ ინფორმაცია ზემოაღნიშნული სასკოლო სპორტის განვითარებისკენ მიმართული პროგრამების შესახებ, რომელიც მაღალ დონეზე შესრულდება დარწმუნებული ვარ. წარმატება მინდა გისურვოთ.

ირაკლი მელაშვილი - მიღებულ იქნას ცნობად ზემოაღნიშნული.

დაადგინეს: კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (10) ხმით ზემოაღნიშნული მიიღეს ინფორმაციის სახით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ირაკლი მელაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი